ჩონგური საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო!

2014 წელი
1-15 მაისი
№9 (9336)

კოლხეთი

გაზეთი გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

ფასი 40 თეთრი

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

მუნიციპალიტეტის ამბები

ანსამბლ „კოლხის" საიუბილეო კონცერტი

1 მაისს ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა "კოლხი" საიუბილეო საღამო გამართა სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში. ღონისძიებაზე ქართული სულის ზეობა სუფევდა, ქართული ცეკვა ხომ მსოფლიო კულტურის გვირგვინია ხალხურ სიმღერებთან ერთად. ანსამბლ „კოლხის" ქორეოგრაფებმა 25 წლიანი მოღვაწეობისთვის მილოცვები მიიღეს. კონცერტს დაესწრო სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა დგებუაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები.

ამბულატორიის მშენებლობა

4 მაისს, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა დგებუაძემ სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულის-გუბერნატორის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელთან -ხვიჩა უიშკარიანთან ერთად უშაფათის თემში ამბულატორიის მშენებლობა დაათვალიერეს და სამომავლო გეგმებს გაეცნენ.

ცრადიციული საჩუქრები

6 მაისს, სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის ადმინისტრაციამ, გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით ბენეფიციარებს საჩუქრები გადასცა. კვების ცენტრს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელთან-გოჩა დგებუაძესთან ერთად საპარლამენტო უმრავლესობის წევრი პაატა ბარათაშვილი სტუმრობდა. ისინი ადგილზე გაეცნენ კვების ცენტრში არსებულ ვითარებას და ბენეფიციარებს დიდი საეკლესიო და ეროვნული დღესასწაული- გიორგობა მიულოცეს. საჩუქრების გადაცემა მუსიკალურად გააფორმა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის შემოქმედებითმა ჯგუფმა.

გაუფრთხილდეთ გარემოს!

8 მაისს,სენაკის მეორე საჯარო სკოლაში,"ეკოკლუბის" მოსწავლეებმა გარემოს მოვლა-პატრონობასთან დაკაშირებით შემეცნებით-გასართობი ღონისძიება გამართეს. მათ საზოგადოებას ჩატარებული გამწვანებისა და დასუფთავების აქციების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. ღონისძიება მიზნად ისახავდა გარემოს დაცვითი ცნობიერების ამაღლებას მოზარდებში. ახალგაზრდებმა მოსახლეობას გარემოს დაცვისკენ მოუწოდეს. ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა დგებუაძე ესწრებოდა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

15 ივნისი 2014 წელი

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს, თვითმმართველი თემის გამგებლის არჩევნები

სენაკის №64საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	დამნიშნავი სუბიექტი
1	მაია ფირცხალავა	თავმჯდომარე	ცესკო
2	ეკა გოგია	მოადგილე	ცესკო
3	ვენერა პირტახია	მდივანი	ცესკო
4	ელზა ადამია	წევრი	ცესკო
5	თამარ ჭანტურია	წევრი	ცესკო
6	ნანი ბარქაია	წევრი	ცესკო
7	სალომე ბურსულაია	წევრი	საქართველოს კონსერვატორიული პარტია
8	ხათუნა ჯიმშელეიშვილი	წევრი	მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს
9	ალექსანდრე ქაჩიბაია	წევრი	ეროვნული ფორუმი
10	თეონა თურქია	წევრი	თავისუფალი დემოკრატები
11	მზია ბიგვავა	წევრი	ქართული ოცნება
12	ია კორშია	წევრი	რესპუბლიკური პარტია
13	ნოდარი ფიფია	წევრი	ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

არჩევნებისათვის განკუთვნილი შენობა-ნაგებობების ნუსხა

	უბნის ნომერი	უბნის ადგილმდებარეობა	უბნის მისამართი
1	წერეთლის	სსიპ-სენაკის მუნიციპალიტეტის №2 საჯარო სკოლა	ახალგაზრდობის ხეივანი № 13
2	წმ. ნინოს	სამხატვრო გალერეა	ჭავჭავაძის ქ. №99
3	გოგებაშვილის	I საჯარო სკოლის II კორპ.	რუსთაველის №217
4	ხორავას	№2 ბაგა-ბაღის	ჭავჭავაძის №55
5	გურამიშვილის	№1 ბაგა-ბაღი	ტაბიძის №60
6	ჭავჭავაძის	ფიზიკური პირი დ.ფოფხაძის საოფისე ფართი	ჭავჭავაძის №20ა
7	რუსთაველის	მე-7 საჯარო სკოლა	რუსთაველის №68
8	კოლხეთის	შპს „ტერგეზი"-ს შენობა	ი. სანაიას №2
9	შხეფის	მე-7 საჯარო სკოლის II კორპ.	სტალინის №69
10	ბარათაშვილის	მე-3 საჯარო სკოლა	რუსთაველის №206
11	დ.აღმაშენებლის	№1 ბაღის შენობა	დ.აღმაშენებლის №54
12	ღვინისკომბინატი	სახანძრო დაცვისა და სამაშველო სა,სახურის შენობა	ვ. გორგასლის №88
13	გამრჯვების	სენაკის მუნიციპალიტეტის №3 ბაგა-ბაღი	ელიავას №171
14	ჯანაშიას	აფხაზეთის №7 საჯარო სკოლის შენობა	სამხედრო დასახლება
15	მშვიდობის	№4 ბაგა-ბაღი	მშვიდობის №306
16	კეცხოველის	№3 საჯარო სკოლის მე-2 კორპუსი	მშვიდობის №216
17	კოსტავას	შპს სენაკურის ადმინისტრაციული შენობა	მშვიდობის 172
18	ლეონიძის	ა(ა)იპ სასსპორტო გაერთიანების შენობა(სპორტის სასახლე	ღვინჯილიას №3ბ
19	საავადმყოფოს	პოლიკლინიკის შენობა	რუსთაველის 114
20	ახალსოფლის	ახალსოფლის თემის საჯარო სკოლა	ახალსოფლის თემი
21	გეჯეთის	გეჯეთის საჯარო სკოლა	გეჯეთის თემი
22	ეკის	ეკის საჯარო სკოლა	ეკის თემი
23	ზანის	ზანის საჯარო სკოლა	ზანის თემი
24	ზ.ჭალადიდის	ზ.ჭალადიდის საჯარო სკოლა	ზ.ჭალადიდის თემი
25	თეკლათის	თეკლათის საჯარო სკოლა	თეკლათის თემი
26	ლეძაძამის	ლეძაძამის საჯარო სკოლა	ლეძაძამეს თემი
27	ბეთლემის	ლეძაძამის საჯარო სკოლა	ლეძაძამეს თემი, ბეთლემი
28	მენჯის	მენჯის საჯარო სკოლა	მენჯის თემი
29	ნოსირის	ნოსირის საჯარო სკოლა	ნოსირის თემი
30	ნოსირის	წისქვილკომბინატის შენობა	ნოსირის თემი
31	ნოქალაქევის	ნოქალაქევის საჯარო სკოლა	ნოქალაქევის თემი
32	გახომელას	ნოქალაქევის საჯარო სკოლა	ნოქალაქევის თემი, გახომელა
33	უშაფათის	უშაფათის საჯარო სკოლა	უშაფათის თემი
34	ფოცხოს	ფოცხოს საჯარო სკოლა	ფოცხოს თემი
35	ქვ.ფოცხოს	ქვემო ფოცხოს თემის საჯარო სკოლა	ფოცხოს თემი, ქვ.ფოცხო
36	ძველი სენაკის	ძველი სენაკის საჯარო სკოლა	ძველი სენაკის თემი
37	კოტიანეთის	ძველი სენაკის საჯარო სკოლა	ძვ.სენაკის თემი, კოტიანეთი
38	მეორე ნოსირის	კულტურის სახლი	ძ ძვ.სენაკის თემი, II ნოსირი
39	ხორშის	ხორშის საჯარო სკოლა	ხორშის თემი
40	დიდი ხორშის	ხორშის საჯარო სკოლა	ხორშის თემი,დიდი ხორშის უბანი
41	გოლასკურის	თეკლათის ბაგა-ბაღის	თეკლათის თემი
42	ჟიული შარტავას	სანატორიუმი "კოლხეთი"	გ. ღვინჯილიას №3
43	ჭყონდიდელის	უსინათლოთა საზოგადოების შენობა	მშვიდობის №323

№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისია

ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲐ

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ" 6 მაისს სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოაწყო შეხვედრა სენაკის საზოგადოებასა და ამომრჩევლებთან.

შეკრებილთ სენაკის ინტელიგენციის სახელით მიესალმა მწერალი ბორის დავითაია.

საქართველოს პარლამენტის წევრმა ეკა ბესელიამ ამომრჩევლებს წარუდგინა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლობის კანდიდატი, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა დგებუაძე. ქალბატონმა ეკა ბესელიამ ისაუბრა იმ სიახლეებზე და მიდწევებზე, რაც კოალიციამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ შეძლო, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით განხორციელებულ და განსახორციელებელ პროექტებზე. საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა ეკა ბესელიამ და პაატა ბარათაშვილმა საზოგადოებას მადლობა გადაუხადეს მობრძანებისათვის და წარდგენილ კანდიდატს გამარჯვება უსურვეს.

შემდეგ ქართული ოცნების სენაკის რაიონული ორგნიზაციის თავმჯდომარემ, მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა გოჩა დგებუაძემ დამსწრე საზოგადოებას ქ. სენაკისა და 14 თემის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი წარუდგინა. სენაკის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიტატად დასახელდა სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილის მოვალეობის დროებით შემსრულებელი ხვიჩა ჯიშკარიანი.

ბატონმა გოჩა დგებუაძემ ისაუბრა მუნიციპალიტეტში განხორციელებულ და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. მოსახლეობას არჩევნებში აქტიური მონაწილეობისაკენ მოუწოდა. აღნიშნა, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლად არჩევის შემთხვევაში ყველაფერს გააკეთებს სენაკელთა ინტერესების დაცვისა და კეთილდღეობისათვის.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა სენაკის საჯარო სკოლის პედაგოგი ქალბატონი ნანა თავართქილაძე.

ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ

სენაკის მუნიციპალიტეტში „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში" ხვნის პროცესი წარმატებულად მიმდინარეობდა.

შესრულებულ სამუშაოებზე გვესაუბრება შპს „მექანიზატორის" ჩალაუბნის სერვისცენტრის ბრიგადის მენეჯერი ბატონი კახი კაპანაძე.

გურჯაანის რაიონის მკვიდრს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს, პროფესიით ფიზიკოსს სხვადასხვა სფეროში, ასევე ხელმძღვანელ თანამდებობზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ბატონმა კახიმ სოფლის მოსახლეობის მადლობა და სიყვარული დაიმსახურა. გთავაზობთ საუბრის მოკლე შინაარსს.

ჩვენი ბრიგადა ძველი სენაკის თემში მივლინებული გახლდათ 23 მარტიდან. 25 მარტს დაიწყო ხვნის პროცესი, გვქონდა მცირედი შეფერხება წვიმიანი ამინდის გამო. სამუშაოებს ძველი სენაკის პარალელურად ვაწარმოებდით ნოსირისა და ახალსოფლის თემებში. გვყავს გამართული ტექნიკა, 12 ერთეული ტრაქტორი, 6 „ბელორუსის" და 6 „ზეტორის " ტიპის. ტექნიკის გამოყენება ხდება იმის შესაბამისად, როგორია ფართობი. მოსახლეობა კმაყოფილია. ბარათით მოსარგებლის თითქმის ყველა ფართობი დავხანით, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცალკეულ შეფერხებას, როდესაც მოსარგებლის მიწის ფართობში მდგარმა ნაგებობამ შეგვიშალა ხელი. მინდა მადლობა ვუთხრა სოფლის და მუნიციპალიტეტის გამგებლებს, სოფლის მეურნეობის განყოფილებას, რომლებიც ყოველდღიურად გვეკონტაქტებოდა და გვეხმარებოდა. ძველი სენაკის თემში მოიხნა 621,45 ჰა. მინდა პატივისცემით მოვიხსენიო ბატონი იგორ ტყებუჩავა, რომელსაც თავის კუთხე ძალიან უყვარს. უნდა კოლხი გლეხი ეკონომიურად გამართული და ძლიერი იყოს. სასიხარულოა როდესაც ქვეყანას ასეთი კეთილსინდისიერი და პროფესიონალი ადამიანები ჰყავს.

ᲓᲐᲚᲘ ᲥᲐᲩᲘᲑᲐᲘᲐ-სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი

საგაზაფხულო სამუშაოები პროექტის ფარგლებში დაიწყო 10 მარტიდან, მაგრამ ტექნიკის სიმცირისა და უამინდობის გამო გვქონდა შეფერხებები. დამატებით შპს „მექნიზატორის" მიერ გამოყოფილმა კახეთის ბრიგადამ ყველა ხარვეზი გამოასწორა და სამუშაოები აგროტექნიკურ ვადებში დასრულდა.

ბრიგადირის კახი კაპანაძის პიროვნულმა თვისებებმა და მაღალმა პროფესიულმა მონდომებამ სოფლების ძველი სენაკისა და ახალსოფლის მოსახლეობის მადლიერება და კეთილგანწყობა დაიმსახურა. ბატონი კახი არაერთხელ შეგვიწუხებია და დაგვხმარებია შემხვედრი პრობლემის მოსაგვარებლად, რისთვისაც პირადად მე მინდა მადლობა გადავუხადო მას კეთილსინდისიერი და მაღალკვალიფიციური სამუშაოებისათვის.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐ-ძველი სენაკის თემის მკვიდრი-უპირველესად მინდა მადლობა ვუთხრა ხელისუფლებას, რომელმაც მომცა ხვნის ბარათი, სოფლის რწმუნებულმა აგვიხსნა ბარათით სარგებლობის პირობები. ჩემი მიწის ფართობი უდრის 34,6 ჰა-ს. ბატონ კახის ბრიგადის ოპერატორმა მიწა დაგვიმუშავა, სოფლის მოსახლეობასა და ბატონ კახს შორის ნამდვილად მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. გვიჭირს კიდევაც მასთან განშორება

Მ. ᲔᲯᲘᲑᲘᲐ

p.s. მასალა მომზადდა აპრილში, დღეისთვის ხვნის პროცესი სენაკის მუნიციპალიტეტში დამთავრებულია.

ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ
ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ

ᲝᲗᲝᲐᲚᲛᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ „ᲐᲠᲥᲘᲛᲔᲓᲔᲨᲘ"

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის ფარგლებში, სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ხორციელდება თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკის ექიმების ვიზიტი. საყოველთაო ჯანდაცვა მოსახლეობას სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურეობას სთავაზობს. 8 მაისს, მათ 13 ბენეფიციარს ჩაუტარეს თვალის სხვადასხვა ტიპის ოპერაციები. მოქალაქეები ადგილზე მოინახულა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შესმრულებელმა გოჩა დგებუაძემ. მან მომსახურე პერსონალს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა , რომ მსგავსი ტიპის პროგრამები კვლავ განხორციელდება მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ,,ᲡᲐᲩᲥᲐᲠᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘ"

უკვე წლებია, რაც სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობა, კულტურის ცენტრსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრთან ერთად ახორციელებს პროექტს „საჩუქარი ბავშვებს", რაც მიზნად ისახავს მთელს ამიერკავკასიაში თავისი მასშტაბით მნიშვნელოვანი ძეგლის – ნოქალაქევის არქეოპოლისის უკეთ გაცნობასა და პოპულარიზაციას. პროექტში მონაწილე 300–მდე ახალგაზრდას 1 კვირის განმავლობაში საშუალება მიეცა უკეთ გაცნობოდა მხარის ისტორიას, საექსპოზიციო დარბაზებში დაცულ ექსპონატებს, რომლის საერთო ამპლიტუდაც მოიცავს 3500 წელს, მოესმინათ ზოგადი საუბრები „არქეოპოლისის" შესახებ, დაეთვალიერებინათ შხეფის ციხის ფოტო–გამოფენა და გაცნობოდნენ მის იტორიას.

8 მაისს, პროექტის კვირეულის ბოლო დღეს, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა დგებუაძე შეხვდა პროექტში მონაწილე მოსწავლეებს, გაესაუბრა მათ და უსურვა წარმატებები საკუთარი სამშობლოს ისტორიის ღრმად და ძირეულად გაცნობის გზაზე. ექსკურსიები გახლავთ ერთ–ერთი სეგმენტი იმ კომპლექსური ღონისძიებებისა, რომელსაც ახორციელებს გამგეობის შესაბამისი სამსახური ნოქალაქევის მუზეუმისა და ქართულ–ბრიტანული საერთაშორისო ექსპედიციის ხელმძღვანელობასთან ერთად. კერძოდ, უახლოეს დღეებში, ასევე საგანმანათლებლო რესურს ცენტრის ხელშეწყობით სკოლებში ჩატარდება სამეცნიერო კონფერენციები და რაც ყველზე მნიშვნელოვანია, კონფერენციებში მონაწილე ახალგაზრდები ჩაერთობიან ნოქალაქევის საზაფხულო სკოლის მუშაობაში, რომლის წევრებსაც ინგლისურ ენაში 1 თვის განმავლობაში ტრენინგებს ჩაუტარებენ ევროპის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ–მასწავლებლები.

„ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡ" ᲛᲔᲓᲔᲠᲡᲝᲜᲐᲚᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

სენაკის მუნიციპალიტეტს აფხაზეთის მთავრობის, კერძოდ, აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით "რესპუბლიკური საავადმყოფოს" მედპერსონალი სტუმრობდა. 10 მაისს მათ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით იძულებით გადაადგილებულ პირებს უფასო სამედიცინო გამოკვლევები ჩაუტარეს. ექიმების სტუმრობა ითვალისწინებდა ყველა სახის დაავადების უფასო ამბულატორიულ გამოკვლევას. პროფილაქტიკური კვლევები ასევე შეეხო ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებსაც თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ სამედიცინო დაწესებულებაში - კლინიკა "არქიმედეში" ეფექტური და კვალიფიციური დიაგნოსტირება ჩაუტარდათ. აღსანიშნავია, რომ უფასო გამოკვლევას საფუძვლად აფხაზეთის მთავრობასა და რესპუბლიკურ საავადმყოფოს შორის გაფორმებული მემორანდუმი დაედო. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა დგებუაძემ ინიციატორებსა და მედპერსონალს მადლობა გადაუხადა და ადგილზე მოინახულა პაციენტები.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ EPARD-ᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ

29 აპრილს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა დგებუაძე შეხვდა ევროკავშირის, ქეა საერთაშორისო კავკასიაში და რეგიონალური განვითარების ასოციაციის წარმომადგენლებს EPARD-ის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია კოოპერატივების მეშვეობით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხრდა, რომელიც განაპირობებს სოფლის მოსახლეობის შემოსავლების მატებას და შესაბმისად გამოიწვევს სიღარიბის შემცირებას საქართველოს სოფლებში. ამ მიმართულებით გაანალიზდა სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით დაწყებული აქტივობები და მიღწეული შედეგები.

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ–3 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

გვიყვარდეს და გვწამდეს

ამირან კაცია სენაკელია. ძალიან უყვარს ლიტერატურა, ლექსები. ტრადიციული ოჯახის თავკაცს, მზრუნველ პიროვნებას 60 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ მას დაბადების დღეს, ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და სიხარულს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სენაკის
მუნიციპალიტეტის საინფორმაციო
საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები

მკითხველს ვთავაზობთ ამირან კაციას ერთ-ერთ ლექსს, რომლის ძირითადი თემა სამშობლოს სიყვარული და ერთგულებაა.

***

გულში ცეცხლი გიზგიზებდეს
ვით ლამპარი აღმაფრენის,
მას დუშმანი ვეღარ სძლევდეს
მაღლა ვსწიოთ ზღუდე ბჭენი.
ჭირსა შიგან გამაგრება
სამშობლოს და საქმეს არგებს,
ხამს ცოდვათა მიტევება
როს უფალი გვიქადაგებს.
და მით გავხდეთ ჩვენ ძლიერი,
ციმ-ციმ გავიტანოთ ლელო,
თავს დაიხრის ჩვენს წინ მტერი
მით ვადიდოთ საქართველო.

და მით გავხდეთ ჩვენ ძლიერი,
ღმერთი მუდამ ჩვენთან არის,
გვწამდეს მრავალჟამიერი
მით ვადიდოთ წინაპარი
და მით გავხდეთ ჩვენ ძლიერი
გვიბერავდეს ზურგის ქარი
გაიხარებს ერი-ბერი
დუშმანს ვაქცევინოთ მხარი.
გვიყვარდეს და მუდამ გვწამდეს
ჩვენი მხარე საფიცარი,
სამშობლოს მოღალატეს
შავი მიწა და სამარი.

ვულოცავთ!

პროფესიონალიზმი, ერთიერთგაგება, ერთიერთანადგომა აერთიანებთ მაცხონებს გიორგი სარგელიას და ჯემალ გოძაძეს. ისინი 6 მაისს, გიორგობის დღესასწაულზე მოეკლინენ ამ ქვეყანას.

დიდი სითბოთი და პაციოვისცემით ვულოცავთ „ვარის მეზობლებს" დაბადების დღეს.

მაცხონებო! გისურვებთ ჟამს გრძელს, სულს მრთელს. მუდამ გქონოდეთ მეგობრობის, ერთგულების, შიცვევების გრძნობა.

სენაკის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები

მუნიციპალიტეტის ამბები
დასასრული

ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავი

სენაკის მუნიციპალიტეტში ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავთან დაკავშირებით განხორციელდა კომპლექსური ღონისძიებები: 7 მაისს, ჟიული შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, გაიმართა თემატური საღამო, ხოლო სამხატვრო სკოლაში გაიხსნა ამ თარიღისადმი მიძღვნილი სურათების გამოფენა. 8 მაისს საჯარო ბიბლიოთეკაში მოეწყო მეორე მსოფლიო ომის თემატიკისადმი მიძღვნილი ლიტერატურის გამოფენა; ვეტერანთა კლუბში გაიმართა კონცერტი ომის მონაწილეთათვის. ამავე დღეს, სამუსიკო სკოლაში ჩატარდა ფაშიზმზე გამარჯვებისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი.

9 მაისს, ომში გმირულად დაღუპული მფრინავის - ალექსანდრე წურწუმიას ძეგლთან გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე ვეტერანებს სიტყვით მიმართა და მათი თავგანწირვის მნიშვნელობაზე ისაუბრა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა დგებუაძემ. სიტყვით აგრეთვე გამოვიდნენ: მხცოვანი ვეტერანები, სენაკის საზოგადოების წარმომადგენლები, სკოლის მოსწავლეები. გვირგვინებით შეიმკო ეროვნული გმირის - ჟიული შარტავას, აგრეთვე, რუსეთ-საქართველოს ომის დროს აფხაზეთში დაღუპულ გმირთა: გენო ადამიას, ნოდარ კანკიასა და ნოდარ გაბესკირიას მემორიალები, შინმოუსვლელთა მემორიალი მენჯში. სკოლის მოსწავლეებმა მხატვრულ-ლიტერატურული კომპოზიციებით პატივი მიაგეს მათ ხსოვნას. დასასრულს, ომის ვეტერანებისთვის გაიმართა სადღესასწაულო ბანკეტი. აღსანიშნავია, რომ საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში,საქართველოს მთავრობამ ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარება დააწესა. სენაკში მცხოვრებ თითოეულ ვეტერანზე გაიცა ადგილობრივი ბიუჯეტიდანაც ერთჯერადი ფულადი დახმარება.

ინტელექტუალური შეჯიბრი სენაკში

26 აპრილს სრულიად საქართველოს მასშტაბით მესამედ აღინიშნა ინტელექტის დღე„ რომელშიც ტრადიციულად საქართველოს ყველა კერძო თუ საჯარო სკოლამ მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული ღონისძიება გაიმართა სენაკში ინტელექტ კლუბ „რა? სად? როდის?" ორგანიზებით და სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის სამსახურის, აგრეთვე, სენაკის ზოგადსაგანმანთლებლო რესურს-ცენტრის მხარდაჭერით.

წელს სენაკში 14-მა საჯარო და კერძო სკოლის გუნდმა მიიღო მონაწილეობა. ტრადიციისამებრ, მონაწილეებისათვის დასმული 24 შეკითხვიდან 18 სწორი პასუხით სენაკის მუნიციპალიტეტის გამარჯვებული გახდა კერძო სკოლა "აპოდიქსი",. მეორე ადგილზე კერძო სკოლა "მარიოტა" და სენაკის მესამე საჯარო სკოლები გავიდნენ, ხოლო მესამეზე - პირველი საჯარო და კერძო სკოლა "თელო-ეტალონის" გუნდები.

გამარჯვებულმა გუნდმა უფლება მოიპოვა 24 მაისს თბილისში, შერატონ მეტეხი პალასში, მონაწილეობა მიიღოს ინტელექტის დღის ფინალურ შეხვედრაზე, სადაც საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის გამარჯვებული სკოლის გუნდები წარდგებიან.

არ დავიწყებია თქვენს გმირობას

7 მაისს ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა ფაშიზმზე გამარჯვების 69-ე წლისთავს მიუძღვნა ღონისძიება სახელწოდებით „არდავიწყება თქვენს გმირობას", სადაც საპატიო სტუმრებად წარმოდგენილი იყვნენ ომის ვეტერანები: ბატონები მამანტი ქვარცხავა, დავით კინწურაშვილი და მიხეილ აბშილავა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ კულტურის სფეროს მუშაკები, კულტურის ცენტრის თანამშრომლები, რაიონის საზოგადოების წარმომადგენლები, მოსწავლე-ახალგაზრდობა.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა, გამარჯვების დღე და გიორგობის დღესასწაული მიულოცა ჟიული შარტავას მუზეუმის უფროსმა სპეციალისტმა ქალბატონმა მარინე აბრამიამ. დამსწრეთ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ომში დაღუპულთა და შემდგომ წლებში გარდაცვლილთა ხსოვნას.

მოწონება დაიმსახურეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდის მცველის ქალბატონ გრიალა ანთიას ხელმძღვანელობით პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეების: ზურაბ გაბელაიას, თამთა გოგოლის, თედო კუჭავას, დარეჯან ავალიანის, კესო კვარაცხელიასა და თამარ ხარჩილავას მიერ მეორე მსოფლიო ომის თემაზე წარმოდგენლმა რეფერატებმა.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის უფროსმა სპეციალისტმა ბატონმა რეზო ჯანჯღავამ და ამავე მუზეუმის მეცნიერ –მუშაკმა ლალი გულუამ, ანსამბლ „ეგრისის" სოლისტმა ვახტანგ პაჭკორიამ, პირველი საჯარო სკოლის პედაგოგმა ნელი ბრეგვაძემ, მწერალმა ბორის დავითაიამ, სამხატვრო სკოლის დირექტორმა კოვალი ხუნწარიამ.

კულტურის ცენტრის დირექტორმა ქალბატონმა ეკატერინე გაბრავამ ჯანის სიმრთელე და წელთა სიმრავლე უსურვა ვეტერანებს. მადლობა გადაუხადა გრიალა ანთიას, ნელი ბრეგვაძეს, მომხსენებლებსა და მუზეუმის თანამშრომლებს ღონისძიების მომზადებაში გაწეული შრომისათვის, პირველი საჯარო სკოლის დირექციას კი მხარდაჭერისათვის.

ომის ცალკეული ეპიზოდები გაიხსენეს ვეტერანთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა მამანტი ქვარცხავამ, მანვე ვეტერანთა სახელით მადლობის სიტყვები არ დაიშურა ღონისძიების ინიციატორებისადმი.

აღნიშნულ თარიღს მიეძღვნა გამოფენა „არავინ და არაფერია დავიწყებული" ღონისძიება მიმდინარეობდა ეკრანზე საბრძოლო მოქმედებების ამსახველი კადრების ჩვენებით. ჟიული შარტავას საგამოფენო დარბაზში უხვად იფრქვეოდა გაზაფხულის ყვავილებისა და თაფლის სანთლის სურნელი.

ღონისძიებას ლამაზ ჰანგებად გასდევდა კულტურის ცენტრთან არსებული ხალხური ანსამბლ „ეგრისის"(ხელმძღვანელი თემურ ცხაკაია) მიერ შესრულებული სიმღერები.

დასასრულს მუზეუმის კოლექტივის სახელით ვეტერანებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები, გადაიღეს ფოტოები.

დამსწრეთა აზრის გათვალისწინებით, თავის შინაარსობრივი დატვირთვიდან გამომდინარე, ჩატარებული ღონისძიება ლამაზ ფურცლად ჩაიწერა მუზეუმების ისტორიაში.

იზოლდაა ჩვამანია

შეხვედრა სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევის ცენტრის წევრებთან

23 აპრილს, სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქტო დარბაზში, სამოქალაქო მონიტორინგისა და კვლევის ცენტრის წევრებმა გამართეს გაცნობითი ხასიათის შეხვედრა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი არასამეწარმეო იურიდიული პირების წარმომადგენლებისათვის. შეხვედრა შედგა სამეგრელოს რეგიონში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესების ადვოკატირებისა და ქსელური მუშაობის ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში.

მიუზიკლ „ოლივერის" ჩვენება სენაკის დრამატულ თეატრში

24 აპრილს, სენაკის აკ. ხორავას სახელობის დრამატულ თეატრში, მარტვილის რაიონში არსებულმა ლონდონის ინგლისური ენის სკოლის აღსაზრდელებმა სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერითა და დრამატული თეატრის ორგანიზებით, სენაკელი მაყურებლისთვის ლაიონელ ბარტის დაუვიწყარი მიუზიკლი "ოლივერი" წარმოადგინეს. სპექტაკლის ჩვენებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ. აღსანიშნავია,რომ სპექტაკლის ჩვენება საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა. გაყიდული ბილეთების თანხა მთლიანად გადაეცა სენაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სახლს. მოსწავლე-ახალგაზრდობის მიერ წარმოდგენილმა სპექტაკლმა კი სრული ანშლაგით ჩაიარა.

გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის
და ინფორმაციული უზრუნველყოფის სამსახური

თავს გვახსენებს

69 წელი გასულა სამამულო ომის დამთავრებიდან, მიუხედავად ამისა იმ ქარცეცხლიან დღეთა ექო ჩვენში დღესაც ცოცხლობს და ჟამიდან ჟამზე თავს გვახსენებს. მსოფლიოს ხალხები ზეიმით აღნიშნავენ ამ თარიღს. 9 მაისი უწმინდესი და უსაყვარლესი დღესასწაულია ომის ვეტერანებისათვის, ისინი ხომ 1418 დღის განმავლობაში სამკვდრო –სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდნენ ვერაგ მტერთან. გმირის სიკვდილით კვდებოდნენ ათასობით უწვერულვაშო ღიმილის ბიჭები, მზესა და სიცოცხლის სილამაზეზე შეყვარებული, თავადაც ლამაზი ქალიშვილები.

დიდი მსხვერპლი გაიღო სამამულო ომის პერიოდში ქართველმა ხალხმა , ფრონტზე გაწვეული 750 ათასი მებრძოლიდან ომს 300 ათასი ქართველის სიცოცხლე შეეწირა. ეს იყო პროცენტულად ყველაზე დიდი დანკარგი სხვა ხალხების მიერ გაღებულთან შედარებით. ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავდადება, გულითადობა და მამაცობა, რომელიც მას ისტორიულად მოსდგამდა.

ჩვენი რაიონიდან სამამულო ომის ფრონტზე იბრძოდა 6600-მდე მეომარი, მათგან 3200-მდე მებრძოლი დაეცა გმირის სიკვდილით. ფრონტიდან დაბრუნებული 3400-მდე კაციდან დღეს ცოცხალია მხოლოდ 19 ომის მონაწილე: ჭიჭიკო სიჭინავა, ვლადიმერ სანაია, ვალოდია შარტავა, ვარდენ ჭითავა, თამარ ჯოჯუა, ნოე ქაქუთია, სიმონ ებანოიძე, შოთა ყურაშვილი, თათუშა ლორია, მუშური შონია, აგრაფინა ხუნია, მიხეილ აბშილავა, ვალენტინა გოგოლაძე, დავით კინწურაშვილი, ამირან კუცია, მიხეილ გუნია, გრიშა გვარამია, შოთა ჭედია, მამანტი ქვარცხავა.

ვეტერანებმა განვლეს ბრძოლისა და შრომის რთული გზა, ისინი რაიონის სხვადასხვა უბნებზე წლების განმავლობაში ეწოდნენ ნაყოფიერ მუშაობას. ყოველთვის იდგნენ წესიერების, სიმართლის, სინდისიერების სადარაჯოზე და კიდევ დიდხანს უნდა იყვნენ კარგი მაგალითის მაჩვენებლები დღევანდელი ახალგაზრდობისათვის, რომლებმაც უნდა ააშენონ თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველო.

მაისის თვეში დაბადებულ ვეტერანებს თამარ ჯოჯუას (5 მაისი), ამირან კუციას (5 მაისი), შოთა ყურაშვილს (16 მაისი) და მიხეილ აბშილავას (5 მაისი) ვულოცავთ დაბადების დღესთან ერთად ფაშიზმზე გამარჯვების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელ სიცოცხლეს.

მ. გერგაია

მადლობა თქვენ!

ჩვენს რაიონში მრავლად არიან ისეთი ექიმები, რომლებიც მართლაც რომ ეიმედება საზოგადოებას. ამას პირადი გამოცდილებით ვამბობ. ამასწინათ შვილი გამიხდა უცებ ავად, აღენიშნებოდა შემცივნება, გულის რევა, ღებინება, თავის ტკივილი, მაღალი ტემპერატურა. პირველადი დახმარება გაუწია სენაკის მუნიციპალიტეტის ეკის თემის ამბულატორიის ექიმმა ინგა წულაიამ და ექთანმა თეა ანთიამ. მიუხედავად მათი კვალიფიციური ჩარევისა მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ვემადლიერები მათ თანადგომისა და სწორი მიმართულების მოცემისთვის. აქვე მინდა ხაზი გავუსვა მუნიციპალიტეტის შპს პოლიკლინიკური გაერთიანების (დირექტორი მურმან ბოჯგუა) და არქიმედეს კლინიკის (დირექტორი მარეხ ადანაია) მედპერსონალს გულისხმიერებისათვის.

მედიკოსთა რჩევით ავადმყოფი გადაყვანილ იქნა ქუთაისის შპს „დასავლეთის ინფექციურ დაავადებათა ცენტრში" სადაც მკურნალობა ჩაუტარა ექიმმა ინფექციონისტმა შალვა არველაძემ. მისმა გამოკვლევებმა და სათანადო მკურნალობამ შედეგი გამოიღო. ღმერთმა გვიმრავლოს შალვას დარი საქმიანი, პროფესიონალი ადამიანები. მინდა მადლობა ვუთხრა მას შვილის გადარჩენისთვის. ჩემთვის ორმაგად სასიამოვნო გამოდგა ის ფაქტიც, რომ ჩვენი ექიმი –ბატონი შალვა არველაძე არის ჩვენი რაიონის კოლორიტი პიროვნების აწ გარდაცვლილი, ყოფილი მოსამართლის, შალვა ხევსურიანის შვილიშვილი.

ჩემმა მდგომარეობამ დამანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მთავრობის ძალისხმევა ჯანდაცვის კუთხით მოსახლეობის საყოველთაო დაზღვევისა.

მადლობას ვუხდი მთავრობას საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოსახლეობის დახმარებისათვის და ყველა იმ ადამიანს, ვინც თავის ცოდნით და გამოცდილებით იზრუნა ჩემი შვილის გადარჩენისთვის.

ლარისა ხორავა

ხსოვნა

მანანა გუნია-კალანდარიშვილი

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქალბატონი, შემოქმედებითი უნარით დაჯილდოვებული პიროვნება, გაზეთ „კოლხეთის" რედაქციასთან არსებული ლიტერატურული წრის „თუთარჩელას" წევრი ქალბატონი მანანა გუნია-კალანდარიშვილი.

ქალბატონ მანანას მეხსიერებას ფერუცვლელად შემორჩა ჟურნალისტ გოგოლა მზარელუასთან ურთიერთობის წლები. ჟურნალისტთან ახლო და მეგობრული კონტაქტები ჰქონდა მანანას და მის ქალიშვილს ლალის. იხილავდნენ ახალ ლექსებს. რომანტიკული ბუნების ქალბატონს ნოსტალგია ჰქონდა ბავშვობაზე, მშობლიურ სოფელ „კვარჩხლალზე". „...ვფიქრობ შენზე, ბავშვობაზე, ეს სიშორე მაკრთობს, მოლი ისევ დამიბრუნდა, ვით ცისფერი ტატნობს"-წერდა ის.

ქალბატონმა მანანამ დავით(ძიკა) კალანდარიშვილთან ერთად ქართული ტრადიციული ოჯახი შექმნა, პოეზიის სიყვარულით გაზარდა ქალიშვილი ლალი, ხარობდა შვილიშვილების დათო და მაია კილასონიების მომავალით.

შეჰხაროდა შვილთაშვილებს ნელი, ნინო, მარიამ გოგინავებს.

ოჯახზე ზრუნვასა და რუდუნებაში გალია წლები. პედაგოგიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მუშაობა ხალიჩების კომბინატში დაიწყო. 22 წელი მკლავმოუღლელად იღვწოდა ოჯახისათვის და საწარმოში დამსახურებული მუშაკის სახელი ჰქონდა, არაერთი სიგელი და მადლობის წერილი იყო შევსებული მის სახელზე.

მანანა გუნია-კალანდარიშვილი გამოირჩეოდა სიმღერის ნიჭით, ჭიანურზე დაკვრა მამამ ასწავლა, უკრავდა სხვადასხვა ხალხურ საკრავებზე, მღეროდა სენაკში მოქმედ ანსამბლებში, რომელსაც ძმები ლონგინოზ და ვახტანგ მიმინოშვილები ხელმძღვანელობდნენ.

დედა ფუძის სიმკვიდრე და სიძლიერეა. საოცრად ტკივილიანია მისი გარდაცვალება ქალიშვილის, შვილიშვილების, ნათესავებისათვის.

წლის ყველაზე ლამაზ დროს, ვარდობისთვეში წაბრძანდა იმიერ საუფლოს ნიჭიერი და მშრომელი პიროვნება. ამბობენ ამქვეყნიური ცხოვრება იმქვეყნიურისთვის მზადება არისო. მანანა გუნია-კალანდარიშვილმა ღირსეულად მოიხადა ამქვეყნიური ვალი და პირნათელი წავიდა იმიერ საუფლოს.

უფალი ნათელს არ მოაკლებს ამაგდარ ქალბატონს. ოჯახს მუდამ ემახსოვრება მზრუნველი დედა, მოსიყვარულე ბებია და დიდი ბებია.

ოჯახი

მეგობრის ხსოვნას

ღვაწლმოსილი ინჟინერ მშენებელი ნუნუ ხოფერია-მაჭავარიანი თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურებოდა საყვარელ საქმეს-მშენებლობას.

ენგურჰესის მშენებლობაზე საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა, შემდეგ იყო „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი სენაკის № 5 სამშენებლო ტრესტის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ინჟინერი.

მინდობილ საქმეს პატიოსნად და მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებდა.

იყო კარგი მეგობარი, კოლექტივის ლიდერი, გული და სული. სადაც უმუშავნია სარგებლობდა დამსახურებული ავტორიტეტით.

ქალბატონი ნუნუ კარგი მეუღლე, დედა და ბებია გახლდათ.

რაც მთავარია აღზარდა კარგი შვილები. ოქროს ხელები აქვსო შენს შვილს დათოს, ბევრჯერ უთქვამთ მისთვის. რამდენი სიცოცხლე გადაურჩენია ბატონ დათოს და რამდენი მადლობა და ლოცვა დაუმსახურებია დასტაქარს მადლიერი პაციენტებისაგან.

უკანასკნელ გზაზე სხვებთან ერთად მშენებლებმა გულისტკივილით გაიცილეს იგი.

მშვიდობით ჩვენო საყვარელო ნუნუ, სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა!

მეგობრები

მარინა სეჯაია

ჩემო საყვარელო დაო, მოურჩენელმა ავადმყოფობამ მოულოდნელად წაგვართვა შენი თავი, დაგვიტოვა მოუნელებელი ტკივილი, მწუხარება, წუთისოფელზე ურვა და დარდი.

30 მაისს ერთი წელი შესრულდება შენი გარდაცვალებიდან. ჰყვავის გაზაფხული, ყველაფერი გაცოცხლდა, საითაც გაიხედავ ყველგან სილამაზეა, ყველგან გაიფურჩქნა და ყელყელაობს ნაირფერი ყვავილები, შენც გაზაფხულივით სიცოხლით სავსე იყავი, ლამაზი და თბილი, მაგრამ ბედისწერამ გიმუხთლა სამწუხაროდ. უშენოდ პირველად დაგვიდგა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული. ამ დღეს შენს საფლავზე ავედით, სანთლები დაგინთეთ და იქ მოგილოცეთ ქრისტეს აღდგომა.

მარი, შენ გამოირჩეული იყავი სიკეთის კეთებით, სითბოთი და სიყვარულით, უსაზღვრო მოთმინებით, მტრის მიმართაც ბოროტებას არაფრით არ ჩაიდებდი გულში.

დაო, უსაზღვრო ტკივილი ხარ ჩემთვის, ასე მგონია ქვეყანა დაცარიელდა, უშენობით გამოწვეულ სევდას, სიცარიელეს გულში ვერაფერი ავსებს, ვერ ვეაუები იმ აზრს, რომ შენ, ჩვენი სახლის კარებს არ შემოაღებ და არ გაასხივოსნებ მას. ჩემთვის სიცოცხლემ აზრი დაკარგა, რითი ვინუგეშო თავი არ ვიცი, შენ ხომ ერთადერთი და იყავი ჩემთვის ამ ქვეყანაზე. თურმე სიცოცხლე შენით მიყვარდა.

შენი უსაყვარლესი მეუღლე სოსო სირია ცალუღელა, წელში მოწყვეტილი დაბრუნდა უშენოდ მოსკოვში, სადაც თქვენ ბედნიერად 12 წელი ცხოვრობდით. უჭირს სოსოს შენს გარეშე, აღარ იცის როგორ შეეგუოს უშენობას. ის ყოველდღე შენს სამახსოვრო ვიდეოფირებს ათვალიერებს და თვალცრემლიანი, შენზე თბილი მოგონებებით იმშვიდებს ამოგლეჯილ გულს, მხოლოდ შენი სიყვარული ასულდგმულებს და შენი მონატრებით ცხოვრობს.

ნათელი გფარავდეს უფლისა, ჩემო ტკვილო, ჩემო უსაყვარლესო და ძვირფასო დაო. ჩვენს მიერ დანთებული სანთლები გინათებდეს ცათა სასუფეველს.

შენი მონატრებული და ციცო საჯაია

სენაკის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გრიალა და მაია რობაქიძეებს ძმის

პლატონ რობაქიძის

გარდაცვალების გამო

სენაკის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დალი ფაჩულიას მამის

ჟორა ფაჩულიას

გარდაცვალების გამო

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი ნინო სართანია
რედაქტორი მედეა ბაღათურია
მენეჯერი იზოლდა ჩვამანია
კორესპონდენტი მაია გერგაია
ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის № 56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა"-ს სტამბაში
ქ.ფოთი წმ.ნინოს №4
ტელ: 5 (493) 22 24 33